# ნიანგი

11

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1453). ივნისი. 1975. ფასი 20 კაპიკი.



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ეს რა არის?! ჩვენ ხომ ტრაქტორი ჩაგაბარეთ გასარემონტებლად?!

— რა ნაწილებიც გვქონდა, იმით გავარემონტეთ!



**ხახუნის** ან სხვა რაიმე ზემოქმედების შედეგად მრგვალდება ხე, ქვა, და, საერთოდ, ყველა მაგარი საგანი. აგრეთვე, შეიძლება, დავამრგვალოთ რიცხვი, ფართობი, რაიმე საკითხი ან საქმე... და, ბოლოს, რადგან ფასი რიცხვია, შეიძლება მისი დამრგვალებაც!

ჩვენდა საუბედუროდ, ზოგიერთი საქონლის დამრგვალებულ ფასში გაყიდვა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, პირდაპირ დაკანონებულია! მართალია, ეს „კანონი" დაუწერელია, მაგრამ დაწერილზე ნაკლებად როდი სრულდება! მაგალითად, **თოთხმეტკაპიკიანი სიგარეტი „პრიმა"** თითქმის ყველგან და ყოველთვის, იყიდება დამრგვალებულ ფასში, — **15 კაპიკად!** ხალხი ამას ისე მიეჩვია, რომ არც არავინ თხოულობს ხურდას და არც გამყიდველი ფიქრობს კაპიკის დაბრუნებას!

საქონლის დამრგვალებულ ფასში გაყიდვის მაგალითი უამრავია: ყველამ იცის, რომ **ბორჯომის წყლის ფასი 8 კაპიკია,** მაგრამ **ყოველთვის ახდევინებენ 10 კაპიკს!** ასევე, **10 კაპიკად ჰყიდიან „ნაბეღლავსა" და „ზვარეს"** მაშინ, როცა **მათი ფასი 7 კაპიკია!**

ჩვეულებრივი **თოთხმეტკაპიკიანი ლიმონათის** ფასის დამრგვალება ორნაირად ხდება: შედარებით „სინდისიერნი" **მარტო კაპიკს უმატებენ.** გაბედულნი უფრო დიდ ნახტომს აკეთებენ და **ოც კაპიკამდე** ადიან! არსებობს დამრგვალების მესამე ვარიანტიც: **ლიმონათი, ბოთლიანად, იყიდება 30 კაპიკად!** ამ ვარიანტს აქვს თავისი მოდიფიკაცია — **სამი ბოთლის ღირებულება მრგვალდება მანეთამდე!**

**დამრგვალების სარეკორდო მაჩვენებელი მოდის ხინკალზე! როგორც** ცნობილია, (ზოგისთვის არცაა ცნობილი!) **ხინკალი ღირს ექვსი კაპიკი, მაგრამ იყიდება 10 კაპიკად!** ესე იგი, დამრგვალებული თანხის რაოდენობა **ხინკლის ღირებულების 60 პროცენტს შეადგენს!**

პურის გამყიდველთა შორისაც არიან დამრგვალებომანიით შეპყრობილნი. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რათა **ჩვიდმეტკაპიკიანი პური 20 კაპიკად გაყიდონ! ოცდასამკაპიკიანი — 25 კაპიკად და ა. შ.**

**რაც შეეხება ქართულ პურს, — მას ფორმაც მრგვალი აქვს და ფასიც!**

როგორც ზემოჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, ფასები მრგვალდება ცალმხრივად, მარტო გადიდების ხარჯზე! მაგრამ, როცა მაღაზია მომხმარებლისაგან იძენს ტარას, მაშინ ყველაფერი შებრუნებით ხდება: მაგალითად, მათ მიერ **თორმეტ კაპიკად გაყიდულ ნახევარლიტრიან ბოთლს ღებულობენ 10 კაპიკად!** ასევე ორი კაპიკის შემცირებით მრგვალდება, **ჩვიდმეტკაპიკიანი** ბოთლის ფასი!

როცა საქონელი დახლის ქვემოდან იყიდება, საწყობის ან ბაზის მიერ დასამრგვალებელი ფულის რაოდენობა გამოიხატება მანეთებში (ეს თანხა საქმოსნებში წოდებულია „ვერხად").

დროთა განმავლობაში, ფასების დამრგვალებას თანდათან მოჰყვება დამმრგვალებლის დამრგვალებაც! დიახ, მრგვალდება დამმრგვალებელი და მისი თანხაც!..

მგონი, სიტყვა გაგვიგრძელდა! ალბათ, დროა, დავამრგვალოთ ფელეტონი და იმედი ვიქონიოთ, რომ დამრგვალებომანიის დამრგვალების დროც დადგება!

გიგლა ბახტაძე

ნახ. მ. აბაშიძისა



— ვინ არის წინააღმდეგი, რომ პროფტექნიკურ სასწავლებელში ვისწავლო?
— დაიმახსოვრე, შვილო! აი, ესენი არიან შენი მტრები!

შოთა ხოდაშნელი

## შენ მოუნახე სახელი!

ის ისეთია, — ქვეყანა
ზედ რომ გადაჰყვეს მთლიანად, —
არ დაუმადლებს! სუყველას
ჩათვლის ვირად და რქიანად!

ის არის, რომლის ცხვირწინაც
მრავალი კარი მიკეტეს!
სიკეთე რომ გაუკეთონ,
ვერ დაინახავს სიკეთეს!

ძმას „ანონიმკას" დაუწერს, —
წამით არ დაენანება!
ურჩობს, შეჯდება ჯორზე და
უჭირს ძირს ჩამობრძანება!

ყველას უჩივის ამქვეყნად!
ბევრის სიცოცხლე დაწამლა!..
არ ვიცი, იმას რა ვუთხრა,
ვინც წერა-კითხვა ასწავლა!

ის ელის, — გულს ვის გაუხეთქს!
(ბოლო არა აქვს მოლოდინს!)
კაცი? ფუ! კაცი კი არა,
შხამ-გესლი დარჩა ბოლომდი!

ვერ გავიხსენე, რა ჰქვია!
(ვამბობ ჩემს ცოდვას, გამხელილს!)
მკითხველო, ასეთ არსებას
შენ მოუნახე სახელი!



## ლოგიკა

**თითით** საჩვენებელი სახლი აიშენა!.. თითით საჩვენებელი მანქანა იყიდა!.. თითით საჩვენებელი შვილები გაზარდა!.. თითით საჩვენებელი კაცი გახდა!..
არავინ არ უთითებდა!
ახლა ზის და ფიქრობს:
ყველაფერი თითის ბრალი იყო და თავი რატომ მომჭრესო?!

## ოჯახში

— ავქსენტი! სად გაქვს ფული გადამალული?!
— როგორ გეკადრება, ქსენია?! შენგან არ მიკვირს?! სად მაქვს ფული?!
— ავქსენტი!..
— რა, ქსენია?
— შენ მე ვინ გგონივარ, კაცო?! რა ვარ მე შენი?!
— ცოლი ხარ, მგონია!
— ხომ კი?!
— კი, მაგრამ, რაცხა გამომძიებელივით იძლევი შეკითხვებს!

## სალამი ღვთისაა!

— რატომ არ იძლევა ბიკენტი სალამს, თუ იცი?!
— ხალხს ველარ ცნობს!
— თვალს დააკლდა?!
— არა! მგონი, თანამდებობა მოემატა!

## სადილის წინ

**სტუმარი** ზრდილობისათვის ეალერსება თურაშაულივით ლოყებდაბრაწულ ბიჭს, რომელსაც მშობლები, ასევე ზრდილობისათვის, ზრდილობას უქებენ:
— რამდენი წლისა ხარ, ბიჭუნი?
— ათის!
— ყოჩაღ! ყოჩაღ!.. რომელ კლასში სწავლობ?!.
— პირველში!
— ყოჩაღ! ყოჩ... პირველში?!
სტუმარი, აშკარა დაბნეულობის მიუხედავად, არ დაიბნა და ჩვეული ტაქტით გაფანტა უხერხული დუმილი:
— აბა, ახლა ეს მოგვახსენე: რა გზას აირჩევ ცხოვრებაში, 16 წლის რომ გახდები?
— კინოში წავალ და იმ კინოებს ვნახავ, რომლებზე დასწრებაც 16 წლის ასაკამდე აკრძალულია!..

## ვინ ვის შეეყარა

— რა მოუვიდა შენს ცოლს?!
— გრიპი შეეყარა!
— ვაი, იმ უბედურს!
— ვის, ჩემს ცოლს?!
— არა, გრიპს!

**გიზო ნიშნიანიძე**




უსიტყვოდ

## ხმით ნატირალი მუქთახორა ძმაზე

ვაიმე! ვაიმე! მეგობრებო!
როგორი ძმა მყავს, რომ იცოდეთ, —
ჩემი სიბრალულით დაიწვებით!
ქვის გულიც რომ გქონდეთ, შემიცოდებთ!

სახლი რომ გვეწვოდეს, თითს არ გახრის!
არც კი წამოდგება, თუ არ უნდა!
ძილისგუდა ერქვა ბავშვობაში!
ახლა სიზარმაცის არის გუდა!

სხვას არას დაეძებს, თუ დალია,
თუ ჭამა, მუცელი ჩაიყორა!..
საბრალო დედაჩემი დარდმა მოკლა,
მამაც მისმა დარდმა გადიყოლა!..

ჯანსავსეს, ღაჟღაჟლოყებიანს, —
შრომისთვის არც გული, არც წელი აქვს!
ნათესავ-ახლობლები მკვდრებში თვლიან!
ის, მართლაც ცოცხლებში არ სწერია!

საზრდოს ოჯახიდან მე ვუგზავნი,
ქმარი მკლავს, —
ლამის შემაჩვენოს!..
ვაიმე, გულსმიწადაუყრელო
და მკვდრებში მისათვალო, ძმაო ჩემო!

**ნოდარ შამანაძე**

ნახ. ჯ. ლოლუასი



ქლოობა

## ნაკვესები

- **ტუჩილმა** თქვა, მოკლე ფეხები მაქვს, მაგრამ შორს წასვლა შემიძლიაო!
- **რესტორანში** მზარეული კარტოფილს ფცქვნიდა, ოფიციანტი კი — კლიენტს!

**გ. იაშვილი**

ნახ. ჯ. ლოლუასი



— უსაქმური უძახე შენ! ათ ტომში ძლივს ჩაეტია მაგისი „საქმე“.

# მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

### გაუგებრობის თავიდან აცილება

**პურ-მარილს** გადაყოლილი ერთი ექიმი სოფელში მიიწვიეს ავადმყოფის სანახავად.

ოჯახის დიასახლისმა ჰკითხა:

— რას ინებებთ სადილად, გოჭს თუ ქათამს?

ექიმმა კეფა მოიფხანა.

— როგორ? ერთი ქურის მეტი არა გაქვთ?!

### სავსე შემთხვევა

— რა ჰქენი, დაწერე რამე?! — ჰკითხა გამოცდის დამთავრების შემდეგ ერთმა სტუდენტმა მეორეს.

— ვერაფერი! ძალიან რთული თემაა და, იძულებული გავხდი ცარიელი ქაღალდი ჩამებარებინა.

— ეს რა გიქნია! — იყვირა მეორემ.— მეც ხომ სუფთა ფურცელი დავუბრუნე პროფესორს?!. მისი ამბავი არ იცი?! იფიქრებს, რომ ჩვენ ერთმანეთისგან გადავიწერეთ!..

### ვერ გეტყვით!

**ერთი** ძალზე ხანდაზმული პროფესორი სხვა რესპუბლიკაში მიიწვიეს ლექციის წასაკითხად.

ლექციის დაწყებამდე პროფესორმა ქალაქის დათვალიერება გადაწყვიტა.

— ბოდიში, ხომ ვერ მეტყვით, დღეს რა რიცხვია? — ჰკითხა ვიღაც მანდილოსანს.

— სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, აქაური არა ვარ! — უპასუხა მან ფიქრში წასულ პროფესორს.

### მედიცინის სიახლენი

**ჩვეულებისამებრ,** დილის ფოსტის დათვალიერებისას, უროლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა აღმოაჩინა შემდეგი წერილი: „უკვე ოცი წელიწადია, დაავადებული ვარ თირკმელებით. გთხოვთ, გამომიგზავნოთ ხელოვნური თირკმელები და მათი ხმარების წესი!“

პროფესორი საგონებელში ჩავარდა ამ დაუსწრებელი მკურნალობის მოთხოვნით და წერილითვე უპასუხა: „ვინაიდან ხელოვნური თირკმელების ხმარების წესი ერთობ რთულია, გთხოვთ, მკურნალობის ჩასატარებლად გადმოგვიგზავნოთ თქვენი თირკმელები!“

ირაკლი ტატიშვილი

— კი მაგრამ, პიჯაკის ერთი სახელო რომ გრძელია და მეორე მოკლე?!

— რა ვქნა, ძმაო, შესაკერი ფასი შენც ხელმოკლედ გადამიხადე!

• • •

— რამ გამოიწვია თქვენს სოფელში ახალგაზრდობის ასეთი მომრავლება?

— აქ პროფესორმა აგარაკი აიშენა!

### იურიდიული კონსულტაცია

**კითხვა:** ცოლს გავეყარე, ბავშვი მას არგუნეს. მე პედაგოგად ვმუშაობ იმ სკოლაში, სადაც ჩემი შვილი სწავლობს. როგორ მოვახერხო, რომ, გაკვეთილების შემდეგ, შვილი ცოტა ხნით ჩემთან დარჩეს?

**პასუხი:** ორიანი დაუწერეთ!

თ. კირვალიძე

# დეპეშა

**„რევიზორი ვიყიდე თავს ნუღარ შეიწუხებ გკოცნი ცუცა“.** — ასეთი შინაარსის დეპეშა სახლში რომ მიეღო გელას, მაშინ რა უჭირდა, მაგრამ სამსახურში?!.

— აუჰ!ხედავ, კაცო?!.

— ბიჭოო!.. პა, პა, პა, პა!..

— არა, გაგონილა?!.

— ვერ ისწავლა ამ ხალხმა ჭკუა!

— თვითონ გაყო თავი მახეში და ახია მაგაზე!

მარტო ერთმა თანამშრომელმა გაბედა და ამოიკნავლა, რომ გელა არასოდეს ყოფილა რაიმე უმსგავსოებაში შემჩნეული და ახლა რა ღმერთი გაუწყრებოდა, ალბათ, აქ რაღაც გაუგებრობაა, თორემ გელასთან რა ხელი აქვს რევიზორს, ანდა მისი ყიდვა რაში დასჭირდებოდა ვიღაც ცუცასო?!.

პასუხად მყისვე გაისმა:

— საქმეც მაგაშია, შემჩნეული არასოდეს ყოფილა და ისე გატუტუცდა, ხედავ, ვიღაც ცუცას ხელით აწყობს საქმეებს?!. ჰმ!..

— გაგონილა, კაცო, ამხელა თავხედი?!..

იმდენი იფუჩუნეს, იტუტუნეს, იყბედეს თანამშრომლებმა, რომ გელა, დღის ბოლოს, მმართველმა იხმო:

— მდაა!.. — გააგრძელა ღრმააზროვნად უფროსმა, — მართალია, დღემდე ეჭვი არ მეპარებოდა თქვენს კეთილსინდისიერებაში, მაგრამ ახლა კეთილი ინებეთ და ამიხსენით, რას ნიშნავს ყოველივე ეს?!

— რა?! — გულუბრყვილოდ ჰკითხა გელამ.

— თავს ნუ იკატუნებთ — კიდევ უფრო გაიმკაცრა ხმა მმართველმა, — დეპეშა!!!

— რა დეპეშა?! — დაიბნა გელა.

— რა და, დღეს რომ მიიღეთ, **„რევიზორი ვიყიდე, თავს ნუღარ შეიწუხებო“** თანაც — **„გკოცნი, ცუცაო!“** ჰმ! თუ გგონია, მე არაფერი ვიცი?! მთელი დაწესებულება გადარია ამ თავხედურმა დეპეშამ! საჯაროდ მოგვეჭრა თავი! ესე იგი, ჩვენ რევიზორებს ვყიდულობთ?! ესე იგი, ჩვენ მექრთამეები, კომბინატორები, ნაძირალები, მშრომელი ხალხის წურბელები, და ყაჩაღები ვართ, ხომ!!! — მთლად გამოჭენდა მმართველი.

— რატომ კადრულობთ მაგას, ბატონო?! — სცადა დამშვიდება გელამ.

— კიდევ მე გკადრულობ?! — უკვე ცოფებს ჰყრიდა უფროსი, — მთელი ტრესტი გადარია შენმა უთაურმა დეპეშამ, სულ შენს წყეულ დეპეშაზე ლაპარაკობს დიდი და პატარა და კიდევ ჩვენ ვკადრულობთ?! უყურე შენ?! ბიჭო, თუ მეტი შნო არ გქონდა, გეკითხა ვინმესთვის, ხალხი ვართ, ასე ხომ არაა ეს ცხოვრება, ა?! — ბოლო სიტყვა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოთქვა უფროსმა, — არა, ბატონო, შენი გულისთვის თავს არავინ გაიფუჭებს! რაც გინდა, ის ჰქენი!.. დაწერე განცხადება და დღესვე წადი აქედან! დღესვე! გასაგებია?! არ დავინახოს ჩემმა თვალებმა!!! — ახლა კი ნამდვილად გადაირია მმართველი!..

გელა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. აცალა უფროსს გულის მოოხება და, ბოლოს, მშვიდად მიუგო:

— ეს დეპეშა დისშვილმა გამომიგზავნა სოფლიდან. ამას წინათ მთხოვა, გოგოლის „რევიზორი“ ვერ ვიშოვე და მიყიდეო. შევპირდი, მაგრამ, ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, იმდენი სამუშაო დაგვაწვა ყველას, რომ ვერა და ვერ მოვახერხე წიგნის მაღაზიების ჩამოვლა. და, აი, როგორც ხედავთ, „რევიზორი“ ჩემზე ადრე თვითონვე უყიდია ჩემს ცუცას! ეს არის და ეს მთელი იმ „გადასარევი“ დეპეშის არსი!

— მართლა?! — ბუსავით დაქაჩა თვალები მმართველმა.

— მართლა — კვლავ მშვიდად უპასუხა გელამ და მერე მკაცრად დაურთო,— თუ გნებავთ, შეამოწმეთ!

მმართველმა ამოისუნთქა, გაღიმებაც კი სცადა, მაგრამ მხოლოდ ესღა თქვა:

— შე დალოცვილო, რას დაგვხოცა ხალხი იმ შენმა ცუცამ, სახლში ვერ გამოგიგზავნა ეგ დეპეშა?!

— რა ვქნა, იცის, რომ დღე და ღამე სამსახურში ვარ და, რა მისი ბრალია?! — იყო პასუხი.

ზურაბ რატიანი



**აშშ-ის** სიონისტური და ზოგიერთი ფინანსური წრეები გულუხვად აფინანსებენ საარჩევნო კომპანიას. სადაც პრეზიდენტობის კანდიდატად დემოკრატიული პარტიიდან ჯექსონმა თვითონვე წამოაყენა თავისი თავი.

დოლარის საყრდენი

ნახ. გ. ლომიძისა

## ღიმილიანი სტრიქონები

- **მონებაც** რომ ყურებივით დაცქვიტოს, კურდღელი გენიოსი იქნება!
- **საკუთარ** თავთან რომ ნატრობ მარტო დარჩენას, ტანს რაღას უშვრები?
- **ნეტავ,** სიცოცხლეც ზოგიერთ სხდომასავით იწელებოდეს!
- **სკამკაცუნაში** კაცს მიკროსკოპითაც ვერ აღმოაჩენ!
- **როგორც** ჩანს დედამიწაც დედისერთაა!
- **სიყვარულს** ეკვატორი არა აქვს!
- **ძილის** წინ მთელი დღე ისვენებდა!
- **ლოთს** ღვინოში მარტო ჭიპი კი არა, ტვინიც აქვს მოჭრილი!
- **ღიპი** ნერვებზე ჰკიდია!
- **დალევინების** შემდეგაც არაყს ეტანებოდა!
- **აბსოლუტური** სმენა ჰქონდა: ჭიქას ვერ გამოაპარებდი!
- **უსაქმოდ** იჯდა... ყელამდე საქმეში!
- **პატიოსანი** მტრედი ანონიმურ წერილს ყელზე არ შეიბამს!
- **ჩაცინება** თუ მოგენატრებათ, ულვაში გაუშვით!

ზაზა კაციაშვილი

## დანგრეული გზის ლექსი

მუხათგვერდში დაგვპატიჟეს,
ამას წინათ, შაბათ დღესა! —
„ზაპოროჟეცში“ ჩავუჯექით,
ჭერს მუხლები მიადგესა!..

ავჭალის გზას რომ გავყევით,
ხასიათი დაგვიტკბესა!
სიმღერები ისეთი ვთქვით,
ოპერაში გამოდგესა!..

„კავკაზელექტროქსელმშენთან“
გზა უეცრად გაფუჭდესა!..
იმ ჩვენს საწყალ „ზაპოროჟეცს“
სულ კანკალი აუტყდესა!..

ოღროჩოღრო ორმოებში
ასკინკილით დახტოდესა!..
სუყველანი ვიძახოდით:
„ვაი, დედიჩვენის ღმერთსა!“

აგურქარხნის სიახლოვეს
ერთ ორმოში ჩავარდესა!..
ბაყაყურით გამოვცურეთ,
ქოჩორს ლაფი გვიმშვენებსა!.

შარას ფეხით დავადექით,
თან შიმშილი გვაწუხებსა!
მუხათგვერდში მასპინძლებმა
შუბლზე ხელი იტკიცესა!

იქაურებს შევეკითხეთ:
„არსენა სად მოგვიკლესა?“
ერთი ადგილი გვაჩვენეს,
მწვანე მდელო ამშვენებსა!..

მივედით და დავიჩოქეთ,
თვალს ცრემლები გვისველებსა:
„არსენ, ტყვიით სიკვდილი ჯობს
ასეთ გზაზე სიჩქარესა!“

მასპინძლებმა დაგვამშვიდეს,
პურ-მარილიც გაშალესა!..
უკან გზაზე თან გამოგვყვნენ,
ბოლმით თავი იქნიესა!..

იმ ორმოსთან რომ მივედით,
ტანსაცმელი გაიძვრესა!..
თვალდამდგარი „ზაპოროჟი“
სულ „პადრუჩკით“ ატარესა!

სამშვიდობოს რომ გავედით,
სიტყვა ლექსად წარმოთქვესა:
„წინათ კარგი გზა იყო და
დღეს ნათელი დაადგესა!“

ვალერიან მამუკელაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— მითითება, გაფრთხილება, საყვედური მივეცით! ახლა უფრო მკაცრად უნდა დავსაჯოთ!..
— ფეხბურთის აბონემენტი მივცეთ!




უსიტყვოდ



უსიტყვოდ



პროფესიული გატაცებით



უსიტყვოდ

# ყურთასმენილობის საზღაური

**ნამდვილად** მესიამოვნა და გამიხარდა, როდესაც ჩემი სკოლის ამხანაგმა ჩვენს დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა განყოფილების გამგედ.

ამ სიხარულს კი ლათინურ „ი"-სავით წერტილი დაუსვა თავზე იმ გარემოებამ, რომ ორივემ ახალი სახლის გვერდიგვერდ სადარბაზოებში მივიღეთ ბინა.

შემდეგ, ყოველ დილით, ერთნაირ ლურჯ პიჟამოებში გამოწყობილნი ერთად დავძუნძულებდით კუს ტბაზე და ერთად ვებრძოდით ღიპებს.

ჩვენი ცოლები კი ისე შეხმატკბილ-



დნენ, რომ ერთმანეთზე არ ჰორაობდნენ

— კაცო, კოტე, ძმურად გეუბნები!.. ვიცი, შენ გამიგებ!.. — მითხრა ერთხელ სუნთქვაშეკრულმა, თეთრი ბოტასებივით ენაგადმოგდებულმა ჩემმა მეგობარმა, როდესაც კუს ტბის აღმართი ავათავეთ. ძველი საბერკველივით ამოიქშინა და, ცალი ხელის დახმარებით, ნარნარად დაეშვა მდელოზე, — ხომ იცი, კაცნი ვართ!.. სამსახურში ყველა გაქებს, გეფოლორცება!.. შენ კი უნდა იცოდე, სინამდვილეში რას ამბობენ, რა შეხედულება აქვს ხალხს შენზე!...

— რა შეხედულება უნდა ჰქონდეთ?! — ძლივს მოვითქვი მეც სული.

— ახლა სუფრაზე არ ვართ, — ისე გადმოიწია ჩემკენ მეგობარი, თითქოს ჭიქის მოჭახუნებას აპირებსო. — რად გინდა ამბავი? თუ მეგობარი ხარ და ჩემი სიკეთე გინდა, პირდაპირ უნდა მითხრა!... მეც პირში გეტყვი, რასაც ამბობენ შენზე!

ცთუნება უზარმაზარი იყო. ამას, მე კი არა, ბელზებელიც ვერ გაუძლებდა.

— ჯერ შენ მითხარი და მეც გეტყვი! — ძალზე სუსტად დავიზღვიე თავი

— კარგი, ბატონო! რას ამბობენ და... — სიტყვა გასაბერი სალეჭი რეზინივით გაებლანდა პირში ჩემს მეგობარს.

— მამის სულს გეფიცები, არ მეწყინება!.. — დაპირება ვალიდოლივით შევაშველე მას.

— ისეთს არაფერს, ჩემო კოტე, მაგრამ ცოტა მძიმე კაციაო, ადგილიდან დაძვრა უჭირსო...

— მაგაში, ალბათ, ჩემს ღიპს გულისხმობენ... — უნიათოდ ვიხუმრე და ღიმილი მომებრიცა.

— დესპოტიაო!.. მლიქვნელობა უყვარს და იბღინძებაო!

— ჩემზე ამბობ მაგას?

— კაცო, მე კი არ ვამბობ, რასაც ხალხი ლაპარაკობს...

— კაი, კაი...

— ცოტა ინტრიგანიაო, ახლა კიდევ ვიღაც ნათესავი მოაწყოო... პროტექციონიზმი...

— მე ვარ ინტრიგანი და პროტექციონისტი?!

— არ ვიცი! მე იმას გეუბნები, რასაც ხალხი ამბობს!..

— აბა, ახლა მე გეტყვი, რასაც შენზე ამბობენ!

— ბრძანე, ბატონო!

— რა და, ამხელა კაცი ამდენ ხანს რომ ერთ ადგილას ზის, ის კრეტინი და იდიოტიაო...

— შენ მაგას ჩემზე ამბობ?!

— ...ყველას კუდს უქიცინებს, მლიქვნელობს და ამდენ ხანს იმიტომ შემორჩა...

— კრეტინის ხმა მესმის! მლიქვნელი შენთან მოიკითხე, შე მართლა იდიოტო!

კრიტიკის ყოვლისშემძლე სიძულვილმა გრიალით გაიტანა ლელო.

სახლში სხვადასხვა ბილიკებით დავბრუნდით.

ჩემს სადარბაზოში ლიფტი არ მუშაობდა და ფეხით ავუყევი მერვე სართულს.

ბინიდან საშინელი წივილ-კივილი მომესმა. გული გადამიქანდა, რაღაც უბედურება ვიგრძენი. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ... რამე თუ შეემთხვათ...

კარი შევანგრიე და ოთახში შევვარდი.

ჩემი ცოლი ლოჯიაზე გადაკიდებული იყო და დამწყები დირიჟორის ტემპერამენტით იქნევდა ხელებს.

ძლივს მივათრიე ფეხები ლოჯიამდე და ფანჯარაში გავყავი თავი.

გვერდით, შეუმინავი აივნიდან, ჩემი მეგობრის ცოლი ლამის გადმოვარდნაზე იყო, ხელებით სარეცხის თოკს გასაჭიმ მილს დაყრდნობოდა და ფორტისიმოზე გაჰკიოდა:

— ვისა ჰყავს, ქალო, ინტრიგანი და კრეტინი ქმარი?! კრეტინი და იდიოტები ოჯახში მოიკითხე! არ დავინახო შენი ბავშვები ჩემს ბავშვებთან!.. ზაზა, ახლავე ამოდი სახლში!

**ზ. ყორღანაშვილი**



ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ამ ბოლო დროს ტექსტი გეშლება!

— რა ვქნა?! თეატრის დირექტორად მასწავლებელი დაგვინიშნეს და კარნახი აკრძალა!

# „ელემენტები"

**თუ** სოციოლოგები დააკვირდებიან, დაბადების დღეების გადახდა სახადივით დაერია ხალხს! მეც ხალხს ვეკუთვნი და გადავიხადე დაბადების დღე.

მოტანილი საჩუქრებიდან ყველაზე ძლიერ აღმაფრთოვანა ელექტროსაათმა, რომელიც ყოველდღიური, ყოველთვიური მართვის გარეშე საათივით მუშაობდა!

ეს კმაყოფილება ხანგრძლივად არ დამტრიალებდა ოდნავ შექაჩლებულ თავზე: ერთ-ერთ სამუშაო დღეს, დილით, ელექტროსაათის ისრებმა ტლინკები ჰყარეს და ერთ ადგილზე გაჩერდნენ! სინქრონული ძრავების თეორეტიკოსებმა ამიხსნეს: საათში ელექტროენერგიის კვება შეწყდა, ანუ ელემენტი განიტვირთა პოზიტიური მუხტებისაგანო.

იმ დღიდანვე შევუდექი მრგვალი ელემენტების ძებნას: შემოვიარე საქართველოს ქალაქების მაღაზიები და უნივერმაღები, მაგრამ — ამაოდ: ელემენტების ელემენტარული შოვნის ყველა გზა გადამეჭრა! ეკონომიური გეოგრაფიის ერთმა მსხვილმა სპეციალისტმა სწორ გზაზე დამაყენა:

— მრგვალ ელემენტებს შორეულ აღმოსავლეთში იშოვი!

გინდა მთვარეზე გაფრენილხარ და გინდა — იქ!

სამსახურიდან მივლინება მომცეს, რადგანაც ჩემს დირექტორსაც გაუჩერდა ელექტროსაათი. ორი თვის მოგზაურობის შემდეგ იქიდან ჩამოვიტანე მრგვალი ელემენტები, რომელთა ნათლობის სახელია „მარსი". აღმეძრა ცნობისმოყვარეობის რეცეპტორები და შამპოლიონივით დავიწყე ელექტროელემენტის ეტიკეტზე ЭШ-ის გაშიფვრა.

შორაპნის სადგურს რომ მივუახლოვდი, მაშინღა ამოვიკითხე იეროგლიფი: **„ელექტროელემენტი „შორაპანი"**. ესე იგი, **შორაპანი** უშვებს!

— კა მაგრამ, აგერ, ყურისძირში ელექტრო-



— **ზესტაფონის** ავტოსადგურიდან გირეკავ, ძვირფასო ნიანგო! წყურვილმა შემაწუხა და წყალს დავეძებ! მითხრეს, აქ მშვენიერი წყლის ონკანი არისო, მაგრამ რად გინდა?! წყალი არ ამოდის, თურმე, კარგა ხანია! ლითონისაგან ჩამოსხმული შადრევნის სათავსო სავსეა სიგარეტების ნამწვავებით. ამბობენ, აქ, ერთ დროს, ამოჩუხჩუხებდა წყალი, მაგრამ ბოროტმა ხელმა შეწყვიტა მისი დინებაო.

— რატომ? განა, სასმელი წყალი უშლიდა ვინმეს ხელს რამეში?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ უშლიდა: იქვე, ავტოსადგურში, სიროფიანი წყალი, ლიმონათი, ლუდი, ხანდახან ბორჯომიც კი იყიდება. ჰოდა, მოწყურებული კაცი როცა წყალს ვერ ნახავს, ღვინოსაც კი დალევს, წყლის მაგივრად რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?! გვირჩიეთ რამე!

* * *

— **გურჯაანიდან** გაწუხებთ, საყვარელო ნიანგო! დღეს ტელევიზორი ყველა ოჯახში დგას, მაგრამ რად გინდა?! გამოსახულება ნერვებს გვიშლის, ყველაფერს ჟუჟუნა უჩვენებს. ამას წინათ, თბილისის „დინამო" თამაშობდა... გეგონა, რომ მოწინააღმდეგის კარში შევარდა ბურთი! თურმე, ნუ იკითხავ! უეცარი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ჩვენს კარში შეუგდიათ ბურთი! იქნებ, დაგვეხმაროთ და გამოსაწოროთ ტელეგამოსახულება, ან გადასცეთ ჩვენი ფეხბურთელებს, ისე ითამაშონ, რომ ჩვენი სიხარული ხანმოკლე არ აღმოჩნდეს. ასე ამბობენ, თუ ჩვენი ფეხბურთელები კარგად ითამაშებენ, ტელეგამოსახულებაც გასწორდებაო!

* * *

— **ბაგრის** რაიონის სოფელ ბზიფიდან გირეკავ, ძმაო ნიანგო! დეპეშის გამოგზავნა მინდოდა, მაგრამ გამახსენდა, რომ, აქ ბზიფის განყოფილებაში, დეპეშას აკლიმატიზაციის შემდეგ აგზავნიან თბილისში! ან, პირიქით: თბილისიდან რამდენიმე საათში მიღებულ დეპეშას აქ 9 დღეს აჩერებენ! იქნებ, დაგვეხმაროთ და რამდენიმე დღით მაინც შემცირებინოთ ბზიფის საფოსტო განყოფილებას აკლიმატიზაციის პერიოდი!

* * *

— **თბილისიდან,** გლდანის დასახლების მეგობრობის კვარტალიდან გირეკავთ! დღეს სამუშაოზე დამაგვიანდა იმის გამო, რომ ავტობუსში ვერ შევედი. აქ კოველდღიურად დიდი ვარჯიშია საჭირო, რომ ავტობუსში შესვლა მოახერხო!

— რაშია საქმე, ავტობუსები არ გყოფნით?!

— მოგეხსენებათ, განსაკუთრებით დილის საათებში, ხალხმრავლობაა, სწორედ ამ დროს კი ავტობუსები საკმარისი არ არის. მეგობრულად გთხოვთ, დაგვეხმაროთ, ან გვასწავლოთ ერთ ავტობუსში როგორ ჩავეტიოთ ორი ავტობუსის მგზავრები?!

საუბარი ჩაიწერა **ქანი სიხარულიძემ**

# სიახლე

ელემენტებს უშვებენ (ავია თუ კარგია!) და ჩვენთან რატომ არ იყიდება? — ვიკითხე **შორაპნის „ელექტროელემენტის" ქარხანაში.**

— ძალიან პატარა ფონდი აქვს საქართველოს!.. ელემენტები მიდის იქ, სადაც „ელექტროელემენტის "ქარხნები აქვთ!

ელემენტ „მარსის" ასეთი მოძრაობა სავაჭრო ობიექტებზე, თურმე, ეკონომიურად არ ყოფილა გამართლებული, მაგრამ... ტრიალებს, ტრიალებს ბედი მარსისა! ტრიალებს! დრო მიდის! დრო უაზრო მგზავრობისა, რომელიც თვით მარსსაც გაატიალებს!

„მარსი" საქართველოში იშვიათობას წარმოადგენს! ეს იმითაც აიხსნება, რომ **შორაპნის „ელექტროელემენტის" ქარხანა 1973 წელს გაშვებული იყო 4 მილიონი მანეთის სიმძლავრით, ნაცვლად 10,6 მილიონი მანეთისა!** აი, რამ გამოიწვია ეს: ქარხნის დამპროექტებელმა — **ქ. სმოლენსკის საკონსტრუქტორო ბიურომ ქარხანაში შეიტანა სიახლე** — „ნედლეულის პნევმატიკური მიწოდება 10-14 მეტრის სიმაღლეზე კომპონენტების ავტომატური შერევით!"

ამუშავდა თუ არა ქარხანა, დანერგილმა სიახლემ ისეთი გნიასი, ალიაქოთი და მტვერი დააყენა, რომ ზესტაფონელები შორაპნისაკენ გამოიქცნენ, სათაფლიიდან დინოზავრები ხომ არ დაიძრნენო?!

მე არ დავიჯერე დანერგილი სიახლის კურიოზები და ვითხოვე ჩართვა „სიახლისა", რომელიც **10,6 მილიონი მანეთის პროდუქციის წარმოების ბირთვი უნდა გამხდარიყო!** სურვილი შემისრულეს: „სიახლემ" ენით აუწერელი გნიასი ატეხა, ქარხანა დამბლადაცემულივით ათახთახდა, მუშები, ინჟინრები, მე და სხვებიც „სიახლისაგან" გამოდევნილ-გამოპარული ნახშირისა და მარგანეცის მტვრისაგან ისე გავშავდით, რომ თავი გვინეის ნაპირებზე მეგონა!.. ასეთ გარდასახვას ვინ ჩივის? მე რომ არ შემარჯვა და პირი არ მომეკუმა, „სიახლისაგან" წარმოშობილი ვიბრაცია ყელში გაჩხერილი ძვალივით ამომიგდებდა გულს ქარხნის ნაგვით სავსე მუშათა სასადილოში!..

„სიახლე" მარტო ქარხანაში ინერგება? ნურას უკაცრავად! „ინერგება" **ქარხნის სასადილოს საწყობშიც, სადაც, გირების მაგიერ, გამოყენებულია... ხელის საპნები!!! მათ რეკომენდაცია მისცა ზესტაფონის ზომა-წონის მოხალისე კომიტეტმა!** ვაჭრობის ქურუმებო! შეგიძლიათ, გირებით ხელები დაიბანოთ, ხოლო გირებად გამოიყენოთ ხელის საპნები!

ქარხნის მუშათა სასადილოში არსებობს დიეტური კუთხე, სადაც დიეტური საჭმელების ადგილს იკავებენ ბარიკადებად აღმართული ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები!

„ელექტროელემენტის" ქარხანამ **ზესტაფონის რაიკავშირს** ზოგიერთი მუშისათვის წარუდგინა სამკურნალო პროფილაქტიკური კვების რაციონი № 5, რომლის მენიუში, ზარმაცებისათვის „ძნელად" საშოვნელ პროდუქტებთან ერთად, შედის რძის ნაწარმი! სასადილოში რძე ელექტროელემენტ „მარსივით" თუ გამოჩნდება!.. არაჟანი, ხაჭო და სხვა კი ზღაპრულ საკვებად ითვლება!

**ზესტაფონის რაიკავშირი კი თავს იმართლებს, ქუთაისის რძის კომბინატსა და ზესტაფონის რძის ქარხანაში ფონდი არა გვაქვსო!**

მკურნალობამ ფონდი არ იცის, ვაჭრობის პატივცემულო მუშაკებო!

**იქნებ, შორაპნის რაიკოოპერატივის № 10 მაღაზიაში ხორცის, ხილის, მწვანილისა და სხვა რამერუმეების შემოტანის ფონდიც არა გაქვთ?! და თუ გაქვთ, რაღას „დაახეირნებთ" ტაქსით ქარხნის 900-ზე მეტ მუშა-მოსამსახურეს ზესტაფონის ბაზრებსა და მაღაზიებში?!**

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ შორაპნის „ელექტროელემენტის" ქარხანაში მუშა-მოსამსახურეები დენადობის პროცესში არიან? 1975 წლის პირველ კვარტალში ქარხანაში მიღებულია 106 კაცი და გათავისუფლებულია 78. ესეც ერთგვარი „სიახლეა", ოღონდ, ძალიან მოძველებული!

**ავთანდილ ადეიშვილი**


მთავარი რედაქტორი
**ზურაბ გეგაზაშვილი**

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/V-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1972. უე 01941. ტირ. 135.070. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ალექსიშვილი, ზ. ბოლქვაძე, ზ. გემაზაშვილი, ნ. იასეშვილი, გ. ლომიძე, გ. ნიშნიანიძე, ო. ცირეკიძე, ლ. სანებლიძე.

**რომის** მოსამართლე ფრანჩესკო ამატომ გასცა ისრაელის 12 მოქალაქის დაპატიმრების ორდერი. ისინი თანამშრომლობდნენ ისრაელის საიდუმლო სამსახურში და ბრალად ედებათ იტალიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ჩადენილ მკვლელობებში მონაწილეობა.



ისრაელის 12 მოციქული

ნახ. გ. ლომიძისა

Индекс 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა